

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის
ოქმი: 14

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობაში 2018 წლის 16 მაისს, 11:00 სთ–ზე.

ამოცანები:

- აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა
- ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვა
- ქსს გარდამავალი გეგმის განხილვა

ესწრებოდნენ:

<i>მაია ლაგვილავა</i>	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, პასკ–ის თავმჯდომარე
<i>თამარ გაბუნია</i>	URC, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
<i>ქეთევან ჩხატარაშვილი</i>	კონსულტანტი
<i>ირმა ხონელიძე</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გენერალური დირექტორის მოადგილე
<i>ქეთევან სტვილია</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
<i>ნინო მამულაშვილი</i>	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, პროგრამების კოორდინატორი
<i>ირინე ჯავახაძე</i>	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
<i>ნატალია ზაქარეიშვილი</i>	გაეროს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი - გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამების ანალიტიკოსი
<i>ნინო ლომთაძე</i>	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ეპიდზედამხედველობისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, გლობალური ფონდის ტბ პროგრამის კოორდინატორი
<i>მზია ტაბატაძე</i>	დამოუკიდებელი ექსპერტი, „ალტერნატივა ჯორჯია“
<i>ნინო წერეთელი</i>	საინფორმაციო სამედიცინო–ფსიქოლოგიური ცენტრი – თანადგომა, აღმასრულებელი დირექტორი
<i>ლიკა მამაცაშვილი</i>	საინფორმაციო სამედიცინო–ფსიქოლოგიური ცენტრი – თანადგომა
<i>ნინო გაბუნია</i>	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
<i>მაია წერეთელი</i>	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

	ეროვნული ცენტრი
კონსტანტინე ლაბარტყავა	არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“
თინათინ კოტრიკაძე	ექიმების საზღვრის გარეშე
ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი
გიორგი სოსელია	MdM, ადვოკატორების ოფიცერი
ნათია ხონელიძე	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
თამარ ზურაშვილი	პოლიტიკის და ადვოკატორების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ქ-ნმა თამარ გაბუნია**, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და გააცნო შეხვედრის მიზანი: პასკ-ის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმება; აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების შემუშავების მიმდინარე სტატუსისა და საკვანძო საკითხების, ასევე ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მდგრადობის გეგმის განხილვა.

ქ-ნმა თამარმა პასკ-ის ახალი თავმჯდომარის პოზიციაზე დააყენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ქ-ნი მაია ლაგვილავას კანდიდატურა, საწინააღმდეგო მოსაზრება არავის გამოუთქვამს და საკითხი შეთანხმებულად ჩაითვალა კომიტეტთან. ქ-ნმა თამარმა სხდომის წარმართვის ფუნქცია გადასცა ქ-ნ მაიას.

ქ-ნმა მაია ლაგვილავამ მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და გამოხატა კომიტეტის ყველა საკითხის განხილვაში აქტიური თანამონაწილეობის მზადყოფნა. მან სიტყვა გადასცა ქ-ნ ქეთევან ჩხატარაშვილს, კონსულტანტს, რომელიც მუშაობს საქართველოს 2019-2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე.

ქ-ნმა ქეთევან ჩხატარაშვილმა წარმოადგინა საქართველოს 2019 – 2022 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია. თავდაპირველად მან ისაუბრა წინა სტრატეგიის განხორციელების კუთხით ქვეყანაში არსებულ ძირითად მიღწევებზე და იმ გამოწვევებზე, რაზეც აგებული იქნება მომდევნო სტრატეგიული გეგმის აქტივობები. ქ-ნმა ქეთევანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აივ პრევენციული სერვისებით და ტესტირებით მოცვა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სხვადასხვა სამიზნე პოპულაციებში, თუმცა დროული გამოვლენა და მკურნალობაში ჩართვა კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება; ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება რეალისტურ ინდიკატორებზე შეთანხმება. მან ასევე ისაუბრა 90-90-90 სამიზნეების პროგრესზე, სადაც ძირითად გამოწვევად რჩება პირველი ნაწილი, გამოვლენის მაჩვენებელი, რომელიც 48%-ია და აღნიშნა, რომ სწორედ მასზე გაკეთდება ძირითადი აქცენტი ახალ სტრატეგიულ გეგმაში. ძირითად მიღწევებზე საუბრისას ქ-ნმა ქეთევანმა აღნიშნა C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა და ხაზი გაუსვა მასში აივ ტესტირების ინტეგრაციის გაძლიერების

მნიშვნელობას, ასევე აღნიშნა ისეთი მიღწევები, როგორცაა PrEP-ი დაინერგა სათემო ორგანიზაციებში, მნიშვნელოვნად შემცირებული ვერტიკალური გადაცემის შემთხვევები, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის დაფინანსების გადასვლა მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებაზე და თანადაფინანსების მოხსნა და დიაგნოსტიკურ შემთხვევებში ARV მკურნალობით მოცვისა და ვირუსული სუპრესიის მიღწევის ზრდა (81% და 89%). გამოწვევებს შორის აღნიშნა: საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სერვისებთან ხელმისაწვდომობის ზრდას, შემთხვევათა ადრეული გამოვლენა და მკურნალობაში დროული ჩართვა, რისკის ჯგუფების წარმომადგენლების ცოდნის დონე სარისკო ქცევებთან მიმართებაში; პაციენტთა მოვლისა და პრევენციული პროგრამების დიდი წილის დონორულ დაფინანსებაზე დამოკიდებულება და ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინფრასტრუქტურა. აღნიშნული გამოწვევები განსაზღვრავს სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს: (1) პრევენცია, (2) მკურნალობა და მოვლა და (3) მმართველობა და პოლიტიკის შემუშავება. გარდა ამისა ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და აქტივობები შესაბამისობაში იქნება როგორც მდგრადი განვითარების მე-3 მიზანთან, ისე 90-90-90 სტრატეგიასთან. ქ-ნმა ქეთევანმა მოკლედ მიმოიხილა თითოეული ამ მიმართულებისთვის განსაზღვრული აქტივობები. აღნიშნა, რომ აქტივობები გარკვეულწილად შეთანხმებული იქნა მთელ რიგ დაინტერესებულ მხარეებთან და საკონსულტაციო პროცესი კვლავ გრძელდება. გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იქნება მთავრობის მიერ, ყველა ზემოაღნიშნული მიმართულებით გარდამავალი პერიოდის გეგმაში არსებული ძირითადი აქტივობები დაინტეგრირებული იქნება სტრატეგიის დოკუმენტში.

დისკუსია გაიმართა შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

- ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებით **ბ-ნმა კონსტანტინე ლაბარტყავამ** აღნიშნა, რომ არსებობს სუბოქსონით ჩანაცვლებითი პროგრამების გაზრდის საჭიროება.
- უსაფრთხო სისხლის ნაწილთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ C ჰეპატიტის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმაში ფართოდ არის ეს ნაწილი წარმოდგენილი და უნდა მოხდეს მასთან შესაბამისი სინქრონიზაცია.
- ხაზი გაესვა ძირითადი სამიზნე ჯგუფებისთვის აივ პრევენციული პაკეტების და მათი განფასების დროულად დამტკიცების მნიშვნელობას; ეს საკითხი მნიშვნელოვანია სტრატეგიის ბიუჯეტის ნაწილის მომზადებისთვის. **ქ-ნმა ნატალია ზაქარეიშვილმა**, აღნიშნა რომ ამ მიმართულებით ყველა დოკუმენტაცია მომზადებულია, შეთანხმებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან და უახლოეს მომავალში წარედგინება გაიდლაინებისა და სტანდარტების საბჭოს დასამტკიცებლად.
- **ქ-ნმა ირმა ხონელიძემ** აღნიშნა, რომ საჭირო იქნება აქცენტი გაკეთდეს სტრატეგიის დოკუმენტში სპეციფიკურ გენდერულ საჭიროებებზე.

- ქ-მა მათა ლაგვილავამ ყურადღება გაამახვილა აივ ინფექციასა და C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრაციის საკითხზე. მან ისაუბრა სამეგრელო-ზემო სვანეთის პილოტურ პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც ერთდროულად მიმდინარეობს აივ ინფექციაზე, C ჰეპატიტზე და ტუბერკულოზზე სკრინინგი და აღნიშნა, რომ პილოტის წარმატების შემთხვევაში მისი გავრცობა მოხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით თუ რაიმე ახალი ღონისძიება იგეგმება C ჰეპატიტის სკრინინგთან დაკავშირებით, ის უკვე იგეგმება აივ ინფექციაზე სკრინინგთან ინტეგრირებულად.

კომიტეტის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქ-ნ თამარ გაბუნიას, კონსულტანტს, რომელიც მუშაობს საქართველოს 2019-2022 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე.

ქ-მა თამარმა წარმოადგინა საქართველოს 2019 – 2022 წლების ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია. მან ისაუბრა დოკუმენტის მომზადების საფუძვლებზე და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული სტრატეგია შესაბამისობაშია ტუბერკულოზის პრევენციის, მართვისა და კონტროლის გლობალურ სტრატეგიებსა და სამიზნეებთან. აღნიშნა, რომ დოკუმენტის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები ძირითად პარტნიორებთან, როგორცაა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ტუბერკულოზის კოალიცია, გლობალური გრანტების ძირითადი მიმღები და ა.შ. ქ-მა თამარმა ისაუბრა დღეის მდგომარეობით არსებულ პროგრესზე 2016-2020 წლის სამიზნეებთან მიმართებაში. მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნება ტუბ სიკვდილობისა და ტუბ ინციდენტობის მხრივ, თუმცა კვლავ დაბალი რჩება მულტირეზისტენტული შემთხვევების წარმატებული მკურნალობის მაჩვენებელი. ქ-მა თამარმა ისაუბრა ტუბ მომსახურების არსებულ მოდელზე, ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაციაზე და დაყოვნების მაჩვენებლებზე და ხაზი გაუსვა ადამიანზე ორიენტირებულ ამბულატორიულ სერვისებზე რემოდელირების მნიშვნელობას, რაც შესაბამისად იქნება ასახული სტრატეგიის დოკუმენტში. მან ასევე ისაუბრა ტუბერკულოზის სფეროში ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე: პერსონალის ასაკი, დაბალი მოტივაცია, დაბალი ანაზღაურება. პრობლემურ საკითხებს შორის აღინიშნა ასევე USAID-ის ხელშეწყობით შექმნილი ტუბერკულოზის ერთიანი ელექტრონული მოდულის ამოქმედების შეფერხება და კერძო პროვაიდერების მიერ ტუბერკულოზის სერვისების მიწოდების გაგრძელება ხელშეკრულების ვადის გასვლის (2018 წლის) შემდგომ. ქ-მა თამარმა ისაუბრა სტრატეგიის ამოცანებზე: შემთხვევების გამოვლენა და დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პაციენტის მხარდაჭერა და მხარდამჭერი გარემო და სისტემები და წარმოადგინა თითოეული ამ ამოცანისათვის განსაზღვრული სტრატეგიული ინტერვენციები, ასევე, ისაუბრა სტრატეგიული გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებზე. ისევე, როგორ აივ/შიდსის სტრატეგიის შემთხვევაში, აქაც მოხდება გარდამავალი პერიოდის გეგმაში არსებული ძირითადი აქტივობების დაინტეგრირება სტრატეგიის ახალ დოკუმენტში.

დისკუსია გაიმართა შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

- სამიზნეებთან დაკავშირებული დისკუსიის შედეგად შეთანხმდა, რომ 2022 წლისთვის ტბ სიკვდილობისა და ტბ ინციდენტობის სამიზნეები შენარჩუნდება, რეზისტენტული შემთხვევების წილისთვის ახალ და ნამკურნალებ შემთხვევებს შორის სამიზნეებად განისაზღვრა 12%-ზე და 35%-ზე ნაკლები შესაბამისად; მულტირეზისტენტული შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებლისთვის სამიზნე იქნება 100%.
- ტუბერკულოზის ერთიანი ელექტრონული მოდულის ამოქმედებასთან დაკავშირებით დისკუსიისას ხაზი გაესვა მის საჭიროებასა და მნიშვნელობას, აღინიშნა, რომ საჭირო იქნება მისი ადეკვატური ტექნიკური უზრუნველყოფა. ბაზა წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს საკუთრებას და მნიშვნელოვანი იქნება სააგენტოს მხრიდან შესაბამისი რეგულირება.
- დისკუსია გაიმართა ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ცენტრალური ერთეულის – ტუბერკულოზის საბჭოს შესახებ. ხაზი გაესვა ამ ერთეულის ფუნქციონირების გაძლიერების მნიშვნელობას.
- დაფინანსების წყაროების ანალიზზე დისკუსიისას ქ-ნმა ირმა ხონელიძემ აღნიშნა, რომ მეორე რიგის და მესამე რიგის პრეპარატებისთვის 2019 წლის ბიუჯეტში ვარაუდობენ გლობალური ფონდის დაფინანსებას 50%-ს და 75%-ს 2020–2022 წლებისთვის. პაციენტების მიერ სამკურნალო რეჟიმის დაცვის ნაწილში რეზისტენტული ტუბერკულოზის შემთხვევაში თითქმის მთლიანად გადასულია სახელმწიფო დაფინანსებაზე და სენსიტიურის შემთხვევაში – მთლიანად გლობალური ფონდის დაფინანსებაზე და ვარაუდობენ იგივე ტემპის შენარჩუნებას. Xpert MTB/RIF, MGIT და LPA ლაბორატორიული გამოკვლევების შემთხვევაშიც აღინიშნა, რომ სასურველია დარჩეს იგივე ტემპები, კარტრიჯების ღირებულება თავისი საგარანტიოებით დაფინანსდეს გლობალური ფონდის ფარგლებში და დანარჩენების შემთხვევაში მოხდეს ეტაპობრივი გადასვლა სახელმწიფო დაფინანსებაზე.

შეხვედრაზე ქ-ნმა ირმა ხონელიძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა სამოქალაქო სექტორს აქტიური ჩართულობისკენ, აღნიშნა რომ ორივე სტრატეგიის პრიორიტეტები გამოყოფილია, მოცემულია ამოცანები და ღონისძიებები და მნიშვნელოვანია მოხდეს ამ ინფორმაციისა და საკითხების აქტიური გავრცელება სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა მოხდეს მათგან დროული უკუკავშირის მიღება და შესაბამისი ასახვა დოკუმენტებში.

ქ-ნმა მათა ლავილაძემ სიტყვა გადასცა ქ-ნ თამარ ზურაშვილს, პოლიტიკის და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის სპეციალისტს, რომელმაც წარმოადგინა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს გარდამავალი გეგმის ბოლო სამუშაო ვერსია. გეგმის შემუშავება მიმდინარეობს GIZ-ის მხარდაჭერით EHG-ის კონსულტანტების მიერ.

ქ-ნმა თამარ ზურაშვილმა მოკლედ შეახსენა კომიტეტის წევრებს ქსს გარდამავალი გეგმის შემუშავების პროცესი, ისაუბრა გეგმის ძირითად აქცენტებზე და გათვალისწინებულ

ლონისძიებებზე. მან კომიტეტის წევრებს შესათანხმებლად წარუდგინა საბჭოს მომავალი სახელწოდება: საქართველოში გადამდები დაავადებების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო ან საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზის, C ჰეპატიტის და სვვი-ის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო; ასევე მომავალში ქსს წევრთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად საბჭოში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობის გაზრდის საკითხი. ქ-მა თამარმა ასევე აღნიშნა რომ მიმდინარეობს კონსულტაციები გეგმის ბიუჯეტში არსებულ დაუზუსტებელ პუნქტებთან მიმართებაში.

ქ-მა ქეთევან ჩხატარაშვილის აზრით, გარდამავალ პერიოდში უმჯობესი იქნება არ მოხდეს საბჭოს მიერ დამატებითი ფუნქციების შეთავსება. მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რაც უფრო მეტი ფუნქცია ექნება საბჭოს, მით უფრო ნაკლები ყურადღება დაეთმობა აივ ინფექციის/შიდსისა და ტუბერკულოზის საკითხებს. C ჰეპატიტის პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ საკითხის დამატებამ შესაძლოა შეასუსტოს ყურადღება შიდსისა და ტუბერკულოზის საკითხებზე.

ქ-მა ირმა ხონელიძემ აღნიშნა, რომ გარდამავალი პერიოდის გავლის შემდეგ, 2020 წლისთვის C ჰეპატიტი საქართველოში ელიმინირებული იქნება.

ქ-მა მათა ლავგილაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე პერიოდში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის ღონისძიებებში არის ბევრი ურთიერთგადამკვეთი საკითხი და შესაძლებელია საბჭოს მანდატში ამ უკანასკნელის დამატება.

ქ-მა ქეთევან ჩხატარაშვილმა აღნიშნა, რომ სამი დღის წინ გლობალურმა ფონდმა დაამტკიცა ახალი მიდგომები ქსს-ების მომავალ ფუნქციონირებასთან მიმართებაში (CCM Evolution Strategy); მისი აზრით მოცემული გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს აღნიშნულ სტრატეგიასთან.

ქ-მა თამარ გაბუნია აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება ქსს-ების ევოლუციის ახალი სტრატეგიის გაცნობა და ამ სტრატეგიის შესაბამისად კონსულტანტებთან ერთად კიდევ ერთხელ გეგმის ძირითადი საკითხების განხილვა.

ქ-მა მათა ლავგილაშვილმა შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა დამსწრეებს მონაწილეობისათვის.

ძირითადი გადაწყვეტილებები:

- აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიული გეგმების სამუშაო ვერსიის წარდგენა და განხილვა მოხდება 18 მაისის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე
- კონსულტანტები აქტიურ საკონსულტაციო რეჟიმში გააგრძელებენ დოკუმენტებზე მუშაობას

ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი